აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგები

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მასალა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით. მის მინაარსზე სრულად პასუხისმგებელია IDFI და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის მეხედულებებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4
შესავალი..... 5
აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამის პირობები და შედეგები 6
ფერმერების მიერ დიზელის საწვავზე რეალურად მიღებული ფასდაკლება
..... 10

ძირითადი მიგნებები

- აგროდიზელის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, გაცემულია 30,854,470 ლიტრი დიზელის საწვავის ფასდაკლების ბარათი, საიდანაც ბენეფიციარებმა აითვისეს მხოლოდ 10,225,460 ლიტრი (33,1%).

- ყველაზე მაღალი ფასდაკლების შესაძლებლობა ფერმერებისთვის გათვალისწინებული იყო პროგრამის ამოქმედებიდან 10 დღის განმავლობაში და 1 ლარის ნაცვლად, შეადგენდა 74 თეთრს.

- 2020 წლის 1 ივნისის შემდეგ, დიზელის საწვავზე გათვალისწინებული ფასდაკლების ოდენობა 25 თეთრიდან 65 თეთრამდე მერყეობს.

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებმა 1 ლარიანი ფასდაკლების ნაცვლად, დიზელი ავტოგასამართ სადგურებზე, საშუალოდ 45 თეთრიანი ფასდაკლებით, ხოლო ნავთობბაზებზე, საშუალოდ 55 თეთრიანი ფასდაკლებით შეისყიდეს.

- აგროდიზელის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა პერიოდში ფასდაკლების მნიშვნელოვნად განსხვავებული მაჩვენებლები, განპირობებულია პროგრამის მიმწოდებელი კომპანიის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საბაზრო ფასებსა და სატენდერო ფასებს შორის არსებული დისბალანსით.

- 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი შეადგენს დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს, რაც პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, 9-ჯერ ჩამოუვარდება მის საბოლოო მიზანს (40,000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს).

- პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული იყო 200,000-მდე ფერმერის დახმარება, თუმცა შეთავაზებული ფასდაკლებით სარგებლობის ინტერესი პროგრამის I ეტაპზე 80,675 პირმა გამოთქვა, II ეტაპზე - 37,156-მა, ხოლო III ეტაპზე (30 ნოემბრამდე) - 6,021-მა.

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს - „საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ კოვიდ-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი“. პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანია, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების და მის ფარგლებში ამოქმედებული სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის მონიტორინგი. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ფერმერების აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მონიტორინგის შედეგებს.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად, 2020 წლის 20 მაისიდან დაიწყო ფერმერების აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად მიყიდვას. სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, ამ პროგრამის ფარგლებში ფერმერები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, საბაზრო ფასთან შედარებით, დაახლოებით 1 ლარით იაფად შეიძენდნენ. საქართველოს მთავრობის გათვლებით, აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით 200,000-მდე ფერმერი ისარგებლებს და დაახლოებით 40 მილიონი ლარის შეღავათს მიიღებს.



წყარო: სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

წინამდებარე კვლევის მიზანია აგროდიზელით ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის შეფასება, მისი ამოქმედებიდან დაახლოებით ნახევარი წლის გასვლის შემდეგ. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ანტიკრიზისული გეგმით განსაზღვრული პროგრამის შედეგების შესაბამისობა რეალურ მაჩვენებლებთან.

აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამის პირობები და შედეგები

2020 წლის 15 მაისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“ შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის შეთანხმება, რომლის მიხედვით, 0.25 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის მესაკუთრეები, 1 ჰა-ზე მიიღებდნენ 150 ლიტრის დიზელის ფასდაკლების ბარათს, ხოლო 100 ჰა და მეტი მესაკუთრეები არაუმეტეს 15,000 ლიტრის ფასდაკლების ბარათს. შეთანხმების მიხედვით, ფასდაკლების ოდენობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ სატენდერო ფასზე. კერძოდ, ბენეფიციარის მიერ საწვავის ნავთობბაზიდან გატანის შემთხვევაში, 1 ლიტრი დიზელის ფასი განისაზღვრებოდა საწვავის ღირებულების გადახდის მომენტში კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედ (შესაბამისი თვის პირველი რიცხვში დადგენილი ფასი) სახელშეკრულებო ფასზე 20 თეთრით ნაკლებ ფასად, ხოლო ავტოგასამართი სადგურიდან გატანის შემთხვევაში, 16 თეთრით ნაკლებ ფასად. ამ შეთანხმების ფარგლებში, კომპანიას არ წარმოეშობოდა რაიმე სახის ფინანსური მოთხოვნა სამინისტროს წინაშე.

სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ შეთანხმების მიხედვით, ბენეფიციარებისათვის გასაცემი საწვავის სავარაუდო საერთო მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 50 მილიონ ლიტრს და მისი მიწოდება უნდა განხორციელებულიყო შემდეგი პერიოდულობით:

- 2020 წლის 1 ივლისამდე - არაუმეტეს 15 მილიონი ლიტრი საწვავის შესყიდვა;
- 2020 წლის 1 სექტემბრამდე - არაუმეტეს 30 მილიონი ლიტრი საწვავის შესყიდვა;
- 2021 წლის 1 იანვრამდე - არაუმეტეს 50 მილიონი ლიტრი საწვავის შესყიდვა.

სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული პროგრამით სარგებლობის ინსტრუქციების მიხედვით, 1 ივლისამდე ფერმერებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაენაღდებინათ მხოლოდ 50 ლიტრის ოდენობის ფასდაკლების ბარათები, 1 ივლისიდან - 1 სექტემბრამდე 300 ლიტრის, ხოლო 1 სექტემბრის შემდეგ ნებისმიერი ოდენობის.

ურთიერთშეთანხმების ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, საწვავის ნავთობბაზიდან ყოველ ჯერზე გატანის მოცულობა არ შეიძლება იყოს 1,500 ლიტრზე ნაკლები. შესაბამისად, სოფლის განვითარების სააგენტოს ინსტრუქციების გათვალისწინებით, ბენეფიციარები 1 სექტემბრამდე შეძლებდნენ მხოლოდ ავტოგასამართი სადგურებიდან შესაბამისი შეღავათიანი ფასით სარგებლობას.

პროგრამის მიმდინარეობისას, გარკვეულწილად იცვლებოდა პროგრამით სარგებლობის პირობები. მაგალითად, სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის

მიხედვით, ფერმერებს 1 აგვისტოდან ნებისმიერი რაოდენობის დიზელის ფასდაკლების ბარათების გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ. ასევე, სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, 1 ნოემბრიდან როგორც ავტოგასამართ სადგურიდან, ასევე ნავთობბაზიდან ფასდაკლების ბარათით სარგებლობა შესაძლებელი იყო ერთიდაიგივე განსაზღვრული ფასით. პირობების მსგავსი ცვლილება, სავარაუდოდ, განპირობებული იყო ფერმერების მიერ პროგრამით სარგებლობაზე არსებული დაბალი მოთხოვნით.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, IDFI-მ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა პროგრამის ფარგლებში საშეღავათო ფასით გაცემული და ათვისებული საწვავის ოდენობების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, შეთანხმების ფარგლებში, 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, გაცემულია 30,854,470 ლიტრი დიზელის ფასდაკლების ბარათი, საიდანაც ბენეფიციარებმა შეიძინეს მხოლოდ 10,225,460 ლიტრი დიზელის საწვავი. შესაბამისად, 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ათვისებულია გაცემული ბარათების მხოლოდ 33.1%, ხოლო პროგრამით განსაზღვრული გასაცემი საწვავის მიახლოებითი სრული ოდენობის მხოლოდ 20.5%.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ფასდაკლების ბარათების გაცემის და მისი ათვისების ყოველთვიური მაჩვენებლები აჩვენებს, რომ პროგრამის საწყის ეტაპზე ბენეფიციარები შეთავაზებული შეღავათის მიმართ უფრო მეტ ინტერესს გამოხატავდნენ. მაგალითად, პროგრამის პირველ ეტაპზე, ფასდაკლების ბარათები გაიცა 80,273 ფიზიკურ და 402 იურიდიულ პირზე. მეორე ეტაპზე - 37,064 ფიზიკურ და 92 იურიდიულ პირზე , ხოლო მესამე ეტაპზე (30 ნოემბრის მდგომარეობით) - 6,007 ფიზიკურ და 14 იურიდიულ პირზე.

ივნისის თვეში ფასდაკლებით შესყიდულია 4 მილიონი ლიტრი დიზელი, ივლისის თვეში 2.4 მილიონი ლიტრი, ხოლო აგვისტოს თვის შემდეგ ფასდაკლებით შეძენილი დიზელის მაქსიმალური ოდენობა 1 მილიონ ლიტრს შეადგენს.







აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრამის ფარგლებში იაფი დიზელით სარგებლობის დაბალი მაჩვენებლები მიღებულია იმ დათქმის პირობებში, როდესაც საწვავის მიმწოდებელი კომპანია საწვავის გაცემას ახდენს ნებისმიერ პირზე, რომელიც წარადგენს შესაბამის ფასდაკლების ბარათს. შესაბამისად, მიწის მესაკუთრეებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, მსგავსი ფასდაკლებით

ესარგებლათ არა მხოლოდ აგროტექნიკური სამუშაოებისგან დამოუკიდებელი მიზნებისთვის, არამედ გაესხვისებინათ/გაეჩუქებინათ სხვა ნებისმიერ პირზე.

2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ფერმერების მიერ იაფი დიზელით სარგებლობის დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად, შესაძლებელია განხილულ იქნას ფერმერების მიერ დიზელის საწვავზე რეალურად მიღებული ფასდაკლების მაჩვენებლები, რომლებიც როგორც ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1 ლარიანი ფასდაკლების პირობას.

2020 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს გარემოს, დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტრომ წარადგინა მათი საქმიანობის წლიური ანგარიში, რომლის ფარგლებში აგროდიზელის ხელშეწყობის პროგრამის შედეგები, საზოგადოებისათვის მიწოდებულ იქნა იმ ფორმით, რაც პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობს ხელს. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 123,700-ზე მეტმა ბენეფიციარმა 32,000 ტონამდე მოცულობის აგროდიზელი მიიღო შეღავათიან ფასად. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაჩვენებლების მიხედვით, ანგარიშში წარმოდგენილია პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე ფასდაკლების ბარათების მიმღებთა დაჯამებული რაოდენობა და მათზე გაცემული ფასდაკლების ბარათების მოცულობა. პროგრამის წარმატების შეფასებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ბენეფიციართა მიერ პროგრამის ფარგლებში ფასდაკლებით რეალურად შესყიდული საწვავის მოცულობა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ანგარიშში ასახულ მონაცემებს.

ფერმერების მიერ დიზელის საწვავზე რეალურად მიღებული ფასდაკლება

აგროდიზელით ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფერმერების მიერ მიღებული რეალური ფასდაკლებების შესწავლის მიზნით, IDFI-მ გაანალიზა შპს სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას ვებგვერდზე განთავსებული საწვავის ყოველდღიური საბაზრო ღირებულებების და კონსოლიდირებული ტენდერის მიხედვით ყოველთვიურად დადგენილი სახელშეკრულებო ფასების მაჩვენებლები.

შპს სოკარ პეტროლეუმ ჯორჯია მომხმარებელს სთავაზობს ორი ტიპის დიზელის საწვავს ნანო დიზელი (ევრო4) და ნანო ევრო დიზელი (ევრო5). სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ შედარებით დაბალი ხარისხის ნანო დიზელი (ევრო4) ტიპის საწვავზე ფასდაკლება. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება მხოლოდ ამ ტიპის საწვავის საბაზრო ფასების მაჩვენებლებს.

აგროდიზელით ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დაწყების თარიღი (20 მაისი) ემთხვევა 2020 წლის კონსოლიდირებული სახელმწიფო ტენდერის ფარგლებში, დიზელის საწვავზე მოქმედ (შესაბამისი თვის პირველი რიცხვში დადგენილი ფასი) ყველაზე დაბალ სახელშეკრულებო ფასს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სატენდერო ფასი დაიანგარიშება ყოველი თვის პირველ რიცხვში და მასზე გავლენას ახდენს ნავთობპროდუქციის სასაქონლო ბირჟაზე არსებული ფასი, ეროვნული ვალუტის კურსი და საწვავის აქციზის ოდენობა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, წლის დასაწყისში არსებული სატენდერო ფასი მაისის მდგომარეობით შემცირებული იყო დაახლოებით 45%-ით. კერძოდ, საწვავის ნავთობბაზიდან (სითხის სახით) გატანის 1 ლიტრი დიზელის სატენდერო საწყისი ფასი (2.32 ლარი) მაისის თვეში 1.27 ლარამდე შემცირდა, ავტოგასამართი სადგურიდან გატანის საწყისი ფასი კი (2.37 ლარი) 1.32 ლარამდე შემცირდა. 2020 წლის იანვარ-მაისის პერიოდში საწვავის ფასის კლების აღიშნული ტენდენცია პროპორციულად არ ასახულა შპს სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას საბაზრო ფასებზე. 2020 წლის 20 მაისის მდგომაროებით, ნანო დიზელის საბაზრო ფასი შეადგენდა 1.9 ლარს, რაც დაახლოებით 29%-ით ნაკლებია 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოქმედ ფასზე (2.67 ლარი). შედეგად, პროგრამის დაწყების მომენტისათვის, დიზელის მოქმედ სატენდერო ფასსა და საბაზრო ფასს შორის იყო ყველაზე დიდი სხვაობა, რაც პროგრამის ურთიერთშეთანხმების პირობების გათვალისწინებით წარმოშობდა ფერმერებისათვის ყველაზე მეტი ფასდაკლების შესაძლებლობას. მაგალითად, 20 მაისის მდგომარეობით, ფერმერისთვის ფასდაკლება იანგარიშებოდა შემდეგი ფორმულით:

ფასდაკლება ავტოგასამართი სადგურიდან დიზელის საწვავის გატანის შემთხვევაში

საბაზრო ფასს (1.9 ლარს) – (სატენდერო ფასი 1.32 - შეთანხმების ფასდაკლება 0.16 ლარი) = **0.74 ლარი**

აღნიშნული მოცულობის ფასდაკლების შესაძლებლობა ფერმერებისთვის გაგრძელდა მხოლოდ 10 დღით. 2020 წლის 1 ივნისიდან, სატენდერო ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობა (სატენდერო ფასის ზრდის ხარჯზე) მნიშვნელოვნად იკლებს. შედეგად, ფერმერებისათვის გათვალისწინებული ფასდაკლების მოცულობა შემდგომ პერიოდში მხოლოდ 25 თეთრიდან 65 თეთრამდე მერყეობდა. ყველაზე დაბალი, 25 თეთრიანი ფასდაკლება ფერმერებს მოუწევდათ

2020 წლის ივლისის საწყის პერიოდში სარგებლობის შემთხვევაში, როდესაც ნანო დიზელის საბაზრო ღირებულება 1.8 ლარს შეადგენდა, ხოლო ივლისის თვის სატენდერო ფასი 1.71 ლარამდე იყო გაზრდილი.

2020 წლის პირველი ნოემბრიდან, ფერმერებზე დიზელის საწვავი, როგორც ნავთობბაზიდან, ასევე ავტოგასამართ სადგურიდან გატანის შემთხვევაში, გაიცემა ფიქსირებულ ფასად 1.5 ლარად. ნოემბრის თვეში ნანო დიზელის საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ფერმერებისათვის ფასდაკლება შეადგენდა საშუალოდ 62 თეთრს.




კონსოლიდირებული ტენდერის მიხედვით დიზელის ფასი თვეების მიხედვით
დიზელი (ნავთობბაზა)
დიზელი (აგს)
2.32
2.37
2.23
2.28
2.01
2.05
1.65
1.7
1.27
1.32
1.43
1.48
1.66
1.71
1.77
1.82
1.77
1.82
1.69
1.74
1.69
1.74
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი


სხვაობა დიზელის საბაზრო ფასსა და სახელმწიფო პროგრამით დაწესებულ ფასს შორის
ნავთობბაზა
ავტოგასამართი სადგური
0.74
0.58
0.48
0.25
0.32
0.34
0.39
0.37
0.28
0.42
0.33
0.45
0.36
0.45
0.36
0.47
0.38
0.52
0.43
0.60
0.51
0.59
0.64
0.67
20.05-დან 01.06-მდე
01.06-დან 06.06-მდე
06.06-დან 01.07-მდე
01.07-დან 06.07-მდე
06.07.-დან 24.07-მდე
24.07.-დან 28.07-მდე
28.07-დან 01.08-მდე
01.08-დან 06.08-მდე
06.08-დან 20.08-მდე
20.08-დან 01.09-მდე
01.09-დან 02.09-მდე
02.09-დან 26.09-მდე
26.09-დან 01.10-მდე
01.10-დან 01.11-მდე
01.11-დან 17.11-მდე
07.11-დან 25.11-მდე
25.11-დან 01.12-მდე

IDFI-ს მიერ დაანგარიშებული ყოველდღიური ფასდაკლების მაჩვენებლების მიხედვით, პროგრამის ამოქმედებიდან დაახლოებით ნახევარი წლის მანძილზე, 1 ლარიანი ფასდაკლების ნაცვლად, ბენეფიციარებმა ავტოგასამართ სადგურებზე დიზელი შეისყიდეს საშუალოდ 45 თეთრიანი ფასდაკლებით, ხოლო ნავთობბაზებზე საშუალოდ 55 თეთრიანი ფასდაკლებით. ამასთან, ბენეფიციარების მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი საწვავის ოდენობის (10,225,460 ლიტრი დიზელი) და საშუალო ფასდაკლების ოდენობების გათვალისწინებით, 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი შეადგენს დაახლოებით 4.6 მილიონ ლარს, რაც პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე, დაახლოებით 9-ჯერ ჩამოუვარდება მის საბოლოო მიზანს (40,000 მილიონამდე შეღავათი ფერმერებს). ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 4.6 მილიონ ლარიანი შეღავათის მაჩვენებელი, მიღებულია იმ დაშვების პირობებში, თუ ფერმერი დიზელს შეისყიდიდა შპს სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას მიერ დადგენილ საბაზრო ფასად და არ ისარგებლებდა სხვა შედარებით დაბალ ფასიანი ნავთობპროდუქტების მომწოდებელი კომპანიის დიზელით.

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფერმერების მიერ მიღებული შეღავათი					
თვე	**ფასდაკლებით შესყიდული საწვავი**		**საშუალო ფასდაკლება თვის განმავლობაში 1 ლიტრ დიზელზე**		**შეღავათი**
	ავტოგასამართი სადგური	ნავთობ ბაზა	ავტოგასამართი სადგური	ნავთობ ბაზა	
მაისი	222,740	-	0.74	-	164,828
ივნისი	4,093,130	-	0.5	-	2,032,921
ივლისი	2,413,170	-	0.32	-	762,095
აგვისტო	688,830	10,040	0.33	0.42	233,334
სექტემბერი	948,610	6,680	0.39	0.48	369,343
ოქტომბერი	1,054,520	38,680	0.51	0.60	561,013
ნოემბერი	749,060	-	0.62	-	464,417
სულ	**10,170,060**	**55,400**	**0.45**	**0.55**	**4,587,951**

კვლევაში განხილული გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია ფერმერების მიერ პროგრამით სარგებლობის დაბალ მაჩვენებლებთან, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს პროგრამის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ფერმერების მიერ პროგრამისადმი დაბალი ინტერესის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, შესაძლებელია, განხილულ იქნას პროგრამის მთავარი გზავნილის „1 ლარით იაფად ერთი ლიტრი დიზელი“ შეუსაბამობა რეალურ ფასდაკლების მაჩვენებლებთან.

პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე დამდგარი შედეგები, ერთი მხრივ, პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისას არსებულ პრობლემებზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, აჩენს ეჭვებს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში პროგრამის მასშტაბებისა და ეფექტიანობის შესახებ საზოგადოებაში გადაჭარბებული მოლოდინების ხელოვნურად შექმნის მცდელობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე ამყარებს საქართველოს ხელისუფლების მიერ პროგრამის შედეგების ამსახველი ციფრების იმ ფორმით წარმოჩენა, რაც საზოგადოებისათვის პროგრამის წარმატების შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენების შექმნას უწყობს ხელს.

IDFI მიიჩნევს, რომ მსგავსი რეალობასთან შეუსაბამო დაპირებები, ხელს უწყობს ფერმერებისათვის არასწორი მოლოდინების შექმნას, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნებს, ასევე სხვა მსგავსი პროგრამებისადმი არსებული ნდობის ხარისხს.